

A Story about a Young Man Seeking the Hand of King Tamar in Taoian Folklore
თქმულეზა თამარ მეფის ხელის მაძიებელ ჭაბუკზე ტაოურ ფოლკლორში

Tina Shioshvili

PhD in Philology, Professor at Batumi

Shota Rustaveli State University

E-mail: shioshvili.tina@gmail.com

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-4745-9260>

Abstract: In one of the most ancient regions of Georgia, Tao, the memory of one of the most beloved Georgian kings, King Tamar, has survived until recently. The oral tradition of the Taoel Georgians is rich with narratives about the reign of King Tamar. Among these legends is the story of the tragic death of a young man who was separated from Tamar, and it is spread in many versions across the folklore of almost all corners of Georgia.

The Taoist legend, which includes the story of the young man's tragic death separated from King Tamar, along with other narratives related to Tamar, serves as additional evidence that the folkloric creativity of the Taoist Georgians is an integral part of the unified Georgian cultural space.

Key words: Tao, Legend, King Tamar, Parkhali, Gorisjvari, Folklore.

თინა შიოშვილი

ფილოლოგიის დოქტორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის პროფესორი

ელ-ფოსტა: shioshvili.tina@gmail.com

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-4745-9260>

აბსტრაქტი: საქართველოს ერთ-ერთ უძველეს მხარეში ტაოში ბოლო დრომდე შემორჩა ერთ-ერთი უსაყვარლესი ქართველი მეფის, თამარ მეფის ხსოვნა. ტაოელ ქართველთა ზეპირი ტრადიცია მდიდარია თამარ მეფის მეფობის შესახებ თქმულებებით. ამ ლეგენდებს შორის არის თამართან განშორებული ჭაბუკის ტრაგიკული სიკვდილის ამბავი და იგი მრავალი ვერსიით არის გავრცელებული საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ფოლკლორში.

ტაოური ლეგენდა, რომელიც თამარ მეფისგან განშორებული ჭაბუკის ტრაგიკული სიკვდილის ისტორიას თამართან დაკავშირებულ სხვა გადმოცემებთან ერთად მოიცავს დამატებით მტკიცებულებას იმისა, რომ

ტაოელი ქართველების ფოლკლორული შემოქმედება ერთიანი ქართული კულტურული სივრცის განუყოფელი ნაწილია.

საკვანძო სიტყვები: ტაო, ლეგენდა, თამარ მეფე, პარხალი, გორისჯვარი, ფოლკლორი.

ტაოში, როგორც სხვა ისტორიულ ქართულ რეგიონებში - შავშეთსა და კლარჯეთში - ბოლო დრომდეა შემორჩენილი ქართველთა უსაყვარლესი მეფის - თამარის ხსოვნა.

ცნობილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წარსულის მოამაგე და მკვლევარი სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელი წერილში “მაჰმადიანთ საქართველოდამ” წერს: “როგორც მაჰმადიანთა საქართველოს სხვა ნაწილებში, ისე ართვინისა და არდანიშვილის მაზრების მაჰმადიანებს ახსოვთ უკვდავი სახელი თამარ დედოფლისა” (ასლანიშვილი-ბავრელი, 2008: 170).

ტაოურ ზეპირსიტყვიერებაში უხვად შემორჩა თამარ მეფის მიერ ეკლესია-მონასტრების მშენებლობის თემატიკის შემცველი ნარატივები; ისტორიული საქართველოს ამ ვრცელი რეგიონის მოსახლეობის მეხსიერებაში ბოლო დრომდე ძვირფასია ხსოვნა დედოფლისა, რომელმაც, მათი შეხედულებით, აღაშენა იშხანი, ოშკი, ოთხთა ეკლესია და პარხალი.

თამარ მეფის ციკლის ტაოური საისტორიო ზეპირსიტყვიერება მდიდარია, აგრეთვე, ლეგენდებით, თქმულებებითა და გადმოცემებით, რომლებიც მოგვითხრობენ ქვეყნის დიდებული მმართველის მიერ წარმოებულ სარწყავი არხების მშენებლობებზე (თაყაიშვილი, 1991: 220-221; ცინცაძე, 2017: 223). ეროვნული ზეპირსიტყვიერების ამ ნიმუშებით თამარ მეფე წარმოგვიდგება ეკლესია-მონასტრების, ქალაქების, ციხე-სიმაგრეების მშენებლობათა სულისჩამდგმელად და ხშირად - უშუალო მონაწილედაც (შიოშვილი, 2014: 16).

გარდა სამშენებლო თემატიკისა, ტაოელ ქართველთა ისტორიულმა მეხსიერებამ მწირად, მაგრამ მაინც, შემოინახა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში მრავალ ვარიანტად დაფიქსირებული თამარზე გამიჯნურებული ჭაბუკის თავგანწირვასა და მდინარეში დახრჩობასთან დაკავშირებული ლეგენდის ვარიანტიც.

სოფელ ელიასხეველი მთქმელის - 65 წლის პენსიონერი პედაგოგისაგან - შევქი თოფჩუსაგან 2017 წლის 27 ივლისს ჩვენ მიერ ჩაწერილი ნაამბობის თანახმად, რომელსაც ლეგენდის ელფერი უკვე აღარ შერჩენია და თქმულების სახე მიუღია, “თამარა დოდოფალი ერთ კაცს შეჰყვარებია. თამარა პარხალში ჩასულა. ამ დროს მდინარე პარხალი ადიდებული ყოფილა. თამარას უთქმია:

- თუ გადაცურავ, შენი ვიქნებიო”.

მთქმელის დასკვნით, “წასულა ი კაცი და ვერ გადაცურა, დამჩვალა”.

ქართულ ფოლკლორში ეს ტრაგიკული სიუჟეტის შემცველი ნარატივი გორის ჯვრის//გორის ციხის აშენებას უკავშირდება. ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც ზეპირსიტყვიერების ცნობილმა მოამაგემ - ხალხოსანმა პოეტმა იოსებ დავითაშვილმა ჩაიწერა 1977 წელს (ქ. ხ. ს. ს., 1961: 97), მოგვითხრობს:

ერთხელ გორში მყოფ თამარ მეფეს საყვარელი ქორი გაუფრინდა და იმ ადგილას დაჯდა, სადაც ახლა გორიჯვარის ეკლესიაა აშენებული. მდინარე მტკვარი ადიდებული ყოფილა და ქორის გამოყვანა ძალზე საეჭვო გამხდარა. თამარს უბრძანებია:

“ - ვინც ჩემ ქორს გამომგვრის, რასაც მთხოვს, იმას მივცემო”.

თამარზე გამიჯნურებული ყმაწვილი კაცი დაუფიქრებლად შეცურებულა აბობოქრებულ მდინარეში. თავგანწირული ვაჟკაცის შემხედვარე თამარს შეშინებია, ვაითუ ისეთი რამ მომთხოვოს, რისი გაცემაც არ შეიძლებაო, პირჯვარი გადაუწერია და უთქვამს:

“ - ღმერთო, თუ ეს განზრახვა ჰქონდეს იმ ყმაწვილ კაცს, ცოცხალს ნუ გამოიყვანო!”

მართლაც, ჭაბუკი მტკვარში დამხრჩვალა.

თამარი ძალიან დაღონებულა და მისთვის თავშეწირული ჭაბუკის ხსოვნის პატივისცემის ნიშნად უბრძანებია:

“ - ის კაცი იქ დამარხეთ, სადაც ქორი იყო და ჯვარი დაუდგით, რომ იმ ადგილს მივაგნო; მე მსურს, ზედ ეკლესია დავადგა და თქვენც იცოდეთ, ამ ეკლესიას “ქორის ჯვარი” ერქმევაო”.

იმ ადგილას ერთ კვირაში აუგიათ ეკლესია, რომელსაც ახლა “ქორის ჯვარს” ეძახიან (შიოშვილი, 2014: 76).

ლეგენდის იმერული ვარიანტითაც (ხ. ს., 1964: 233), გორის ციხე თამარმა ააგო მასზე შეყვარებული ჭაბუკის ხსოვნის ნიშნად, რომელიც მისი შევარდენის გამოსაყვანად გადაეშვა ტბაში და დაიღრჩო მას შემდეგ, რაც უხერხული დაპირებით შეცბუნებულმა თამარმა ღმერთს შესთხოვა, ჭაბუკი ტბის ტალღებში დაღუპულიყო (შიოშვილი, 2014: 76).

ლეგენდა “დაიღუპოს, თუ ცუდი განზრახვით მოდის” (ხ. ს., 1964: 234-235) გორის ციხის აგებას უკავშირებს იდენტურ სიუჟეტს, ოღონდაც აქ თამარზე შეყვარებულ ჭაბუკს მეფის მიმინო ჰყავს გადასარჩენი. მეფე ქალის ხელის მაძიებელი ვაჟკაცი აქაც იღუპება თამარის ჩანაფიქრის გამოისობით, მაგრამ, როგორც სხვა ვარიანტებშიც ვხვდებით, “ინანა თამარმა და ცოდვის მოსახდელად ეს კეთილი საქმე ჰქმნა: ტბა-მორევი, რომელიც ყოველწლივ რამდენიმე კაცს ახრჩობდა, ჩაუშვა მტკვრის კალაპოტში და დასწრიტა, თვით ბორცვზედ ააგო მაგარი გორის ციხე” (შიოშვილი, 2014: 77).

მსგავსი ვარიანტი გამოაქვეყნა მოსე ჯანაშვილმა “მასალათა კრებულში” 1904 წელს. ლეგენდა ახლავს გორის გეოგრაფიულ-ისტორიულ აღწერილობას; იგი მოგვითხრობს:

მტკვრისა და ლიახვის შესართავთან იდგა ტბა, შიგ ბორცვი იყო ამოწეული კუნძულივით. ერთხელ თამარ მეფე მახლობელ ტყეში ნადირობდა. მისი შევარდენი გაფრინდა და იმ კუნძულის ბორცვზე ჩამოჯდა. მეფემ ბრძანა:

“ - ვინც გამოიყვანს, რასაც მთხოვს, იმას მივცემო”.

ერთმა ჭაბუკმა გაბედა და ტბაში გადაეშვა. თამარს შეეშინდა, ხელი არ მთხოვოსო და მისი დახრჩობა ინატრა; მართლაც, ვაჟკაცი დაიხრჩო. შეწუხებულმა თამარ მეფემ არხი გაუჭრა ტბას, დაწრიტა და იმ ადგილას, გორაკზე, გორის ციხე ააშენა (შიოშვილი, 2014: 77).

თქმულების ერთ-ერთი იმერული ვარიანტით (“თამარი და მიმინო”), თამარის საყვარელი მიმინოს გამომყვან ვაჟკაცს გულში მეფობის სურვილი გააჩნია და ამის გამო ილუპება: შუამდე იყო მიღწეული ვაჟი, რომელსაც მკლავზე მეფის საყვარელი მიმინო ეჯდა, როცა ნაპირზე დაიწყეს ლაპარაკი:

“ - აბა, რას იტყვისო, რას ინდომებსო?

- რას იტყვის და ნეფობას იტყვის, თქმა რათ უნდა მაგასო?!

თამარმა ყური ათხოვა ამ ლაპარაკს, შეხედა წყალში ამ ბიჭს და სთქვა:

- თუ მაგ გაქვს გულში, გაგწყვეტია მიწაო!

ის თქვა და წაიღო წყალმა ის ვაჟკაცი და მიმინოც” (შიოშვილი, 2014: 78).

1882 წელს “მასალათა კრებულში” დაბეჭდილი თქმულების ქართლური ვარიანტის თანახმად, ის ადგილი, სადაც ახლა გორის ციხეა აგებული, დაფარული იყო ტბით; შუაში კი პატარა კუნძული იყო. ერთხელ ამ მიდამოში თამარ მეფე მიბრძანებულა სანადიროდ, თან ჰყოლია თავისი საყვარელი გაწვრთნილი შევარდენი. ნადირობისას შევარდენი გადაფრინდა ტბაზე და კუნძულზე ჩამოჯდა. თამარმა მიმართა თავის ამაღას:

“ - ვინც შავარდენს გადამირჩენს, ჩემს ნახევარ სამეფოს მივართმევო”.

ერთი მამაცი ვაჟკაცი გადაეშვა ცხენით ტბაში, მიცურდა და გამოჰყავდა შავარდენი, მაგრამ უკან დაბრუნებისას შავარდენიანად და ცხენიანად ტბის ტალღებმა შთანთქა. თამარი ძალიან შეწუხებულა, უბრძანებია, ტბის წყალი მტკვრისათვის შეეერთებინათ, ტბა დაეცალათ და გორაკზე ციხე აეშენებინათ” (ქ. ხ. ს. ს., 1961: 235).

თქმულების ზოგადქართული ვარიანტების მსგავსად, ტაოური თქმულების ჭაბუკიც მდინარეში იხრჩობა, რაკი თამარი დაპირდა, რომ თუ ადიდებულ პარხლისწყალს გადაცურავდა,“ მისი გახდებოდა“. ტაოურ, ძალზე მოკლე, ვარიანტში არ იკვეთება, თუ რატომ , რა მიზნით უნდა გადაეცურა თამარის ხელის მამიებელ ვაჟკაცს აზობოქრებული მდინარე; ამის გარკვევაში გვეხმარება სხვადასხვა დროს ქართლში ჩაწერილი მრავალრიცხოვანი ვარიანტები, რომელთა თანახმადაც დგინდება, რომ ადიდებული მტკვრის გაღმა ნაპირზე დარჩენილა თამარის საყვარელი ქორი და მისი აქეთა ნაპირზე გამოყვანა იყო საჭირო; სწორედაც, ამ მცდელობას

ემსხვერპლა ქართული ჭაბუკი და მის პატივსაცემად და მოსაგონებლად ააგო თამარმა გორის ჯვრის (ქორის ჯვრის) ეკლესია.

მოხმობილი ნარატივებიდან კარგად ჩანს, რომ ტაოური თქმულება თამარზე შეყვარებული ვაჟის ადიდებულ მდინარე პარხალში დახრჩობისა ძირძველი ქართული თქმულების ვარიანტია და სავსებით შესაძლებელია, რომ მისი გენეზისი პარხლის ტაძრის აგებასთანაც იყოს დაკავშირებული, მით უფრო, რომ ტაოელებს დღესაც სჯერათ, რომ პარხლის ტაძარი თამარმა ააშენა.

ამრიგად, მიუხედავად ჟამთა სიავისა და ისტორიული ძნელებდობისა, ტაოელთა ისტორიულმა მეხსიერებამ ბოლო დრომდე შემოინახა საქართველოს ისტორიაში “ოქროს ხანად” წოდებული ეპოქის დიდებული შემოქმედის - თამარ მეფის უკვდავი სახის შუქ-ჩრდილები; საქართველოს სხვა რეგიონების ისტორიულ მეხსიერებაში შემორჩენილი მეფე ქალზე გამიჯნურებული ჭაბუკის ტრაგიკული დაღუპვის შემცველი ნარატივი ტაოელებსაც შემორჩათ, რითაც კიდევ ერთხელ ხდება საცნაური, რომ არც თამარ მეფე იყო დაზღვეული ადამიანური ცთომილებებისაგან, თუმცა, მონანიებაც შეეძლო, რაც მის მიერ დიდებული ეკლესია-მონასტრების აგებით გამოიხატა.

თამარ მეფეზე გამიჯნურებული ჭაბუკის ტრაგიკული სიკვდილის სიუჟეტის შემცველი ტაოური თქმულება, თამარის თემატიკის სხვა ნარატივებთან ერთად, კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ტაოელ ქართველთა ფოლკლორული შემოქმედება ბოლომდე ერთიანი ქართული კულტუროლოგიური სივრცის ნაწილია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასლანიშვილი-ბავრელი, 2008 – სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელი, “წერილები ოსმალის საქართველოზე”, თბილისი;
2. თაყაიშვილი, 1991 – ექვთიმე თაყაიშვილი, “სამუსლიმანო საქართველო”. - კრებულში “დაბრუნება”, ტ. I, თბილისი;
3. ქ. ხ. ს. ს., 1961 – “ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება”, ტ. I, თბილისი;
4. შიომვილი, 2014 – თინა შიომვილი, “თამარ მეფე ქართულ ფოლკლორში”, თბილისი;
5. შიომვილი, 2022 – თინა შიომვილი, “ტაოური ფოლკლორი”, ბათუმი;
6. ცინცაძე, 2017 – მერი ცინცაძე, მამია ფალავა, მათა ბარამიძე, “ტაოური ტექსტები” - ბსუ ქართველოლოგიის ცენტრის კრებული”, ტ. XI, ბათუმი;
7. ხ. ს., 1964 – “ხალხური სიბრძნე”, ტ. III, თბილისი.